ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №115/ბ

ქ. თბილისი „5„ 05“ 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის გაიოზ თალაკვაძის სახით, და მეორე მხრივ, შპს “აკვარიუმი”, დირექტორის გიორგი ღონღაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, საწვავის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვაზე (კლასიფიქატორის კოდი 63110000) და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 200 (ორასი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ტვირთის გადაზიდვა ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი №144.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. ვადები:

4.1.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი №144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა (დანართი №1) და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი

9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, გურამ გიორგობიანი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

16. დასკვნითი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ორი – "შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო თბილისი, წერეთლის გამზ. №144 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური საიდენტიფიკაციო კოდი 211333957	შპს "აკვარიუმი" ს/კ 200095690 ქ. თბილისი, ზაჰესი, მშვიდობის №104 სს "თი ბი სი" ბანკი კოდი №TBCBGE22 ანგ. №GE62TB1100000360200529
გაიოზ ფალავანდაძე მინისტრის მოადგილე	გიორგი ლომსაძე დირექტორი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული მომსახურების მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2015 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ----------

და, მეორე მხრივ, მომწოდებელი:

(ორგანიზაციის დასახელება)

(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ: ----------

2015 წლის „ “ „ “ № ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს ---------- ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

თვეში გაწეული მომსახურების ღირებულებამ ---------- ლარი
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია ---------- ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შესრულებული მომსახურების ღირებულება, ანაზღაურებულია ----------

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მომსახურება მიიღო

1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის

   უფროსი

2. პასუხისმგებელი შემსრულებელი

   ბ. ა.

მომსახურება ჩააბარა

1. ხელმძღვანელი

2. მთავარი ბუღალტერი

   ბ. ა.

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი „5" „05" 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს "აკვარიუმის" მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

გ. თალაკვაძე

ი. ბიბილაშვილი

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

გ. გიორგობიანი

ა. მამალაძე